Project funded by the European Union

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო

გარემოს ეროვნული სააგენტო

Empowered lives. Resilient nations.

# პრეს რელიზი

## შავი ზღვის ერთობლივი ქართულ-უკრაინული კვლევა

ბათუმი. 27 მაისი 2016 – **27 მაისს ბათუმის საზღვაო პორტში შევიდა ევროკავშირის ყველაზე დიდი სამეცნიერო-კვლევითი ხომალდი „მარე ნიგრუმ“, რომლის მეშვეობით ხორციელდება შავი ზღვის უნიკალური ქართულ-უკრაინული კვლევა. კვლევის მიზანია შავი ზღვის ბუნებრივი გარემოს შენარჩუნება და გარემოსდაცვითი მონიტორინგის გაუმჯობესება. კვლევაში მონაწილეობენ მეცნიერები უკრაინიდან, საქართველოდან და ევროკავშირის ხუთი სახელმწიფოდან.**

ბათუმის პორტში გაიმართა საზეიმო ღონისძიება და კონცერტი. მკვლევართა ჯგუფს შეხვდნენ თამარ ბაგრატია - საქართველოს გარემოს ეროვნული სააგენტოს ხელმძღვანელი, და გიორგი ერმაკოვი - ბათუმის მერი.

ჟურნალისტებისათვის შედგა ტური „მარე ნიგრუმზე“. აქვე გაიმართა პრეს კონფერენცია, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს უკრაინის ზღვის ეკოლოგიის სამეცნიერო ცენტრისა და უკრაინის ეროვნული მეცნიერებათა აკადემიის ზღვის ბიოლოგიის ინსტიტუტის წარმომადგენლებმა.

**შავი ზღვის კვლევა ხორციელდება ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ინიციატივით, საქართველოსა და უკრაინის სახელმწიფო უწყებებთან და სამეცნიერო დაწესებულებებთან თანამშრომლობით.**

კვლევის პირველი ეტაპი ჩატარდა 17-23 მაისს უკრაინის ეკონომიკურ ზონაში. ამის შემდეგ სამეცნიერო-კვლევითი ხომალდი „მარე ნიგრუმ“ გავიდა ოდესის პორტიდან და გაემგზავრა ბათუმის მიმართულებით. ნაოსნობის მსვლელობაში მიმდინარეობდა კვლევები შავი ზღვის ღრმაწყლიან ცენტრალურ ნაწილში. კვლევითი პროგრამა დასრულდება 30 მაისს საქართველოს ეკონომიკურ ზონაში.

შავი ზღვის ერთობლივი კვლევის ფარგლებში ჩატარდება უნიკალური დაკვირვებები, რომლებიც არასდროს შესრულებულა შავი ზღვის კვლევის ისტორიაში.

კვლევა ასევე ხელს შეუწყობს საქართველოსა და უკრაინის მიერ ზღვის სტრატეგიის შესახებ ევროკავშირის დირექტივების შესრულებას, რაც გათვალისწინებულია ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმებით.

შავი ზღვის ერთობლივი კვლევა ხორციელდება „შავი ზღვის გარემოსდაცვითი მონიტორინგის გაუმჯობესების“ (EMBLAS) პროექტის ფარგლებში, რომლის თანადამფინანსებლები არიან ევროკავშირის კომისია (EC) და გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP).

**მეტი ინფორმაცია იხილეთ ვებ-გვერდზე:** http://emblasproject.org/ და სოციალურ მედიაში: www.facebook.com/UNDPGeorgia და https://www.facebook.com/UNDPUkraine

**საკონტაქტო ინფორმაცია:**
ოლენა მარუშევსკა, EMBLAS, bluerivers.ukraine@gmail.com
თეა შათირიშვილი, გარემოს ეროვნული სააგენტო, teashatirishvili1@gmail.com, (577) 151541
სოფო ჭიჭინაძე, UNDP საქართველო, sophie.tchitchinadze@undp.org, (599) 196907